ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვიშეფასებისა და

საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგია

1. ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვა წინამდებარე კითხვარისა და კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის თვითშეფასების ერთ - ერთ ინსტრუმენტს, რომელიც გამოიყენება პროფესიული განათლების მასწავლებლის საჭიროებათა კვლევის მიზნით, მისი განვითარების დაგეგმვისა და სწავლების ხარისხის განვითარებისთვის.
2. გამოკითხვა ტარდება წინამდებარე მეთოდოლოგის დანართის სახით წარმოდგენილი კითხვარის საშუალებით, რომელსაც შეიმუშავებს ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯრი და ხარისხის მართვის კოორდინატორთან ერთად უზრუნველყოფს კვლევის ჩატარებას.
3. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი.
4. კვლევის ჩასატარებლად გამოიყენება რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, თითოეული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ინფორმირდება კვლევის მიზანზე, ამოცანებსა და კვლევისათვის საჭირო დროზე. კვლევა ხორციელდება ელექტრონული კითხვარის საშუალებით.
5. სავალდებულოა განმახორციელებელი პერსონალი ინფორმირდეს კვლევის ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებით, რომ დაცული იქნება რესპონდენტის ანონიმურობა და მოპოვებული მასალები განზოგადებული სახით იქნება გაანალიზებული;
6. წინამდებარე კითხვარი კვლევისათვის გამოიყენება წელიწადში ერთჯერ, კვლევის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვიშეფასებისა და საჭიროებათა კვლევის შედეგების მიხედვით, ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი აკეთებს სტატისტიკურ ანალიზს და იდენტიფიცირებულ გასაუმჯობესებელ საკითხებთან დაკავშირებით, პრევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებების საჭიროებისას ადგენს პროცესების გაუმჯობესების გეგმას, რომელსაც ათანხმებს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და ცენტრის დირექტორთან.
7. კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი საკითხების განმეორებითი შესწავლა განხორციელდება თვისებრივი კვლევის მეთოდის

გამოყენებით, მათ შორის, ფოკუს - ჯგუფებში, საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით გონივრულ ვადებში.

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული პროგრამების
მართვისა და
უწყვეტი განათლების ცენტრი

ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელთა

თვიშეფასებისა და საჭიროებათა კვლევის

მეთოდოლოგიის დანართი №1

ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვიშეფასებისა და

საჭიროებათა კვლევის კითხვარი

გამოკითხვის მიზანია ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელთა საჭიროებების გამოვლენა, მათი განვითარების დაგეგმვისა და სწავლების ხარისხის განვითარებისთვის.
გამოკითხვა ტარდება ანონიმურად. თქვენს მიერ მოწოდებული მონაცემები გამოყენებული იქნება მისი განზოგადების მიზნით.
გთხოვთ, აღნიშნოთ თქვენთვის მისაღები პასუხი.
თქვენი გულწრფელი პასუხები დაგვეხმარება პროფესიული განათლების მიმარულებით ბსუ-ს საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაში.

1. **სქესი:**
   - მდედრობითი
   - მამრობითი
2. **ასაკი:**
   ---
3. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა რომელზეც ასწავლით:**
   ---
4. **მოდულის/მოდულების სახელწოდება რომელსაც ასწავლით:**
   ---
5. **რამდენად ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს?**

○ სრულად ○ ნაწილობრივ ○ არა ○ მიჭირს პასუხის გაცემა

ა) ჩვენთვის ხდება მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება სხვადასხვა ფორმატში

ბ) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია ჩვენი, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლების მოლოდინი;

გ) ვეცნობით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დოკუმენტების პროექტს საბოლოო კომენტარებისათვის/ ფორმულირებისათვის.

6.იცით თუ არა, ვის უნდა მიმართოთ სასწავლო პროცესში წარმოქმნილი საკითხების დასარეგულირებლად?

- ○ დიახ, ყველა კონკრეტულ საჭიროებაზე მივმართავ შესაბამის პასუხისმგებელ პირს
- ○ არ მაქვს ინფორმაცია ვის მივმართო კონკრეტული საჭიროების მიხედვით
- ○ მიჭირს პასუხის გაცემა
- ○ სხვა ----------

7.რამდენად ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს დაწესებულების მატერიალურ რესურსებსა და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით?

○სრულიად ○ნაწილობრივ ○მეტწილად ○არა ○მიჭირს პასუხის გაცემა

ა) დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები, ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის
ბ) დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
გ) დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ინტერნეტის უწყვეტი ხელმისაწვდომობა
დ) სასწავლო პროცესი შეუფერხებლად მარაგდება შესაბამისი სახარჯი მასალებით
ე) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით
ვ) მოდულით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით
ზ) დაწესებულება უზრუნველყოფს ჩვენს ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით

8. სასწავლო პროცესთან დაკავშირებით კომუნიკაციის რა სახეებს იყენებთ?

- ○ ელ. ფოსტა
- ○ პირისპირ შეხვედრები
- ○ სატელეფონო კომუნიკაცი
- ○ სოციალური ქსელი
- ○ სხვა: ----------

9. რამდენად ხშირად მონაწილეობთ პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზნით ჩატარებულ კვლევებში?

- სისტემატიურად
- იშვიათად
- არ ვიღებ მონაწილეობას
- სხვა ----------

10. რამდენად ხშირად ხდება დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისება?

- ხშირად
- არასდროს
- იშვიათად
- მიჭირს პასუხის გაცემა

11. მონაწილეობთ თუ არა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშემწყობ აქტივობებში?

- დიახ
- არა

12. თვითშეფასების კითხვარი:

○ სრულიად ვეთანხმები ○ვეთანხმები ○მიჭირს პასუხი ○ არ ვეთანხმები ○სრულად არ ვეთანხმები

ა) ვახორციელებ პროფესიული სტუდენტის სწავლებასა და შეფასებას შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ბ) შევიმუშავებ და დროულად ვაწვდი შესაბამის პასუხისმგებელ პირს კალენდარულ გეგმებს

გ) ვიცნობ ინკლუზიური განათლების პრინციპებს

ე) საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეობას ვღებულობ სსსმ პროფესიული სტუდენტ(ებ)ისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ვ) სწავლების პროცესში ვითვალისწინებ დარგში არსებულ სიახლეებს

ზ) ვუწევ პროფესიულ სტუდენტებს კონსულტირებას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით

თ) სტუდენტები ინფორმირებულები არიან შეფასებასთან დაკავშირებით

13. გთხოვთ, მონიშნეთ სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით რა საკითხ(ებ)ზე საჭიროებთ დამატებით ტრენინგს/კონსულტირებას

- ○ სწავლებისა და განვითარების თეორიები
- ○ სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები პროფესიულ განათლებაში
- ○ ციფრული კომპეტენციების ამაღლება
- ○ შეფასების ინსტრუმენტების (დადასტურებების) შემუშავება
- ○ კალენდარული გეგმის შედგენა
- ○ სასწავლო პროცესის ორგანიზება
- ○ ეფექტური კომუნიკაცია
- ○ მოტივაციის მნიშვნელობა სწავლების პროცესში
- ○ სწავლების უნივერსალური დიზაინი
- ○ სხვა: ----------